ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

№ 21

№ 21 1883—1906 წ. 30 ნოემბერი.

F9843

შ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიტერატურო განყოფილება: ქართული სალმრთო და საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმე. დ. დ. დ—ძის.—ქართული ენა სამეგრელოს სკოლებში.—ნ. ზუბალაშვილის სახელობის თავშესაფარი.—მეცნიერ კაცთა გონების სალაროდან. შენიშვნა. ი.გოგებაშვილის.—ინგლისელი კავკასიაზე.—მხილება. (ლექსი), ქაიხოსრო გელოვანის.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები,

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანოებრივ სარწმუნოებასა და **კეთილ-ზნეობაზე** შეუხებლობა ადამიანის პიროვნობისა. ი.ბალუევის·

ქართული სალმრთო და საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმე.

ჩვენს ჟურნალში არა ერთჯერ და ორჯერ აღგვიძრავს კითხვა ჩვენი ქართული სალმრთო და საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის შესახებ და, ვფიქრობთ, მკითხველებს რამდენადმე გაგებული აქვს ამ საქმის მდგომარეობა. მაგრამ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია ამ საგნის შესახებ რამდენიმე სიტყვა კიდევ გამოვსთქვათ, რადგან ამ უკანასკნელ დროს სალმრთო წერილის და საეკკლესიო ღვთის მსახურების წიგნების ბეჭდვის საქმე ძლიერ გაძნელდა. ძველ დროში ყოველ წიგნს ადვილად იშოვიდა კაცი მაგრამ დღეს დღეობით აგერ ოცი წელიწადი გადის და არავის შეუძლია იშოვოს სადმე ისეთი საჭირო წიგნები, როგორიც არის, მაგალითად, „დავითნი“, „კურთხევანი“ და „ზადიკი“. ამ უკანასკნელ დროს დაიბეჭდნ „ჟამნი“ და „მარხვანი“, თორემ ამ წიგნებსაც მსურველი ვერსად ვერ იყიდდა ოცი წლის განმავლობაში.

წარმოიდგინეთ, იმ დროსაც, როცა სტამბების გამართვა, სალმრთო წერილის და საეკკლესიო ღვთის მსახურების წიგნების ბეჭდვის საქმე ყველას გასაკვირველ და საძნელო საქმედ მიაჩნდათ, არ ყოფილა, რომ ოცი წლის განმავლობაში რომელიმე წიგნის მოპოვება შეუძლებელი ყოფილიყოს. იმ დროს კი როცა სტამბების საქმე გაადვილდა, ქაღალდების მომზადება და მოპოება გაიაფდა და წიგნების გამოცემის საქმე მეტის-მეტად გაადვილდა და გამრავლდა ჩვენი ქართული სალმრთო წერილის და საეკკლესიო ღვთის მსახურების წიგნების ბეჭდვა გაძნელებულია და ოცი წლის განმავლობაში ვერსად ვერ [illegible]ია მსურველს. ეს ფაქტი აშკარად ამტკიცებს, რომ ჩვენი ქართული საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმეს რაღაცა ეღობება წინ და ხელს უშლის წიგნების ბეჭდვას და მათ გავრცელებას.

რომ ადვილად გავიგოთ საქმის მდგომარეობა, გადავავლოთ თვალი ჩვენში საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმეს წინეთ და ეხლა.

1790 წლამდის გამართულია სალმრთო და საეკკლესიო წიგნების საბეჭდავი თფილისში და ქუთაისში. ორივეგან საკმაო რიცხვი საეკკლესიო წიგნებისა იბეჭდება და ძვირადაც არ იყიდება იმ დროის ფასებთან შედარებით. ბოლოს არეულობის დრო's ქუთაისიდან საეკკლესიო წიგნების საბეჭდავი გადადის საჩხერეში და საჩხერიდან რაჭაში, სოფ. წესში. აქ დამთავრდებიან ბეჭდვით შემოკლებული სადღესასწაულო და სხვანი. როცა რუსეთის ქვეშევრდომობას აღიარებს მთელი საქართველო ორივე ადგილას იხურება ეს სტამბები და წიგნების ბეჭდვის საქმე მოსკოვში გადააქვსთ. მოსკოვის სინოდის სტამბას დაევალება ქართული საეკკლესიო წიგნების

საჯ[illegible] ბიბლიოთეკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭდვის საქმე. მოსკოვის სინოდის სტამბები დიდ შემოსავალს მოელიან ამ წიგნების ბეჭდვისაგან, მაგრამ მოტყუებული რჩებიან. მოსკოვში ასოთა-ამწყობების და კორრექტორების შოვნა საძნელო იყო და ამისათვის წიგნების ბეჭდვა იაფად არ ხერხდებოდა. ბოლოს მოსკოვის სინოდის სტამბა მსურველი იყო ჩვენი წიგნების ბეჭდვის საქმე თავიდან მოეშორებია...

საპირო იყო გამოცხადებულიყო, რომ რუსეთის სახელმწიფოსთან შეერთების შემდეგ საქართველოში აღდგინდა ქრისტიანობა. მოიგონეს საზოგადოების დაარსება და 1860 წელში დაარსდა საქართველოში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება. აი ამ საზოგადოებას დაავალეს საღმრთო და საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმეც. ხსენებულ საზოგადოებას გადასცა მოსკოვის სინოდის სტამბამ ასოები და ყველა კლიშეები არა ცოტა ფულისა. ნაცვლად იმისა, რომ საზოგადოებას თვითონ მოეწყო სტამბა და შედგომოდა წიგნების ბეჭდვის საქმეს, შეურიგდა წიგნების ბეჭდვას ნამესტნიკის სტამბას და წინ-და-წინ მისცა ათი ათასი მანათი და ყველა ის კლიშეები რაც მიიღო მოსკოვის სინოდის სტამბიდან. ათი ათასი მანეთი უნდა დაეწვა ნამესტნიკის სტამბას ქართული საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საფასოდ და შემდეგ ყოველი წიგნის ბეჭდვაში უნდა მიეცათ ღირებული ფასი. დაიწყეს წიგნების ბეჭდვა. ნამესტნიკის სტამბამ დიდი ფასები მოითხოვა წიგნების საბეჭდავად. მელიქოვის სტამბამ განაცხადა, რომ იგი იაფად დაბეჭდავს საეკკლესიო წიგნებს და კიდეც დაბეჭდა წიგნები მეტად იაფად ნამესტნიკის სტამბის ფასებთან შედარებით.

ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებას ეგონა, რომ საეკკლესიო წიგნების ბეჭდვით დიდ მოგებას ნახავდა, მაგრამ ისიც მოტყუებული დარჩა. ბოლოს სულ თავი გაანება ნამესტნიკის სტამბას და წიგნების ბეჭდვა ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორას გადასცა. კანტორამ მიიღო წიგნების ბეჭდვის საქმე. შიატოვა მიცემული ფულები ნამესტნიკის სტამბას და მოსკოვის სინოდის სტამბიდან გამოგზავნილი კლიშეებიც და კერძო სტამბებში დაიწყო წიგნების ბეჭდვა. მართალია წიგნების ბეჭდვის საქმეს სწყვეტდა ყოველთვის სინოდის კანტორა, მაგრამ, ვის უნდა დაებეჭდა და რა ფასებში, — ეს იყო დამოკიდებული კანტორის პროკურორზე. *) ამ დროს კანტორამ წიგნების ფასი მეტის-მეტად გააძვირა. მოსკოვში დაბეჭდილი ჟამნები იყიდებოდა თფილისში შვიდ აბაზად. თფილისში დაბეჭდილი ჟამნი, ხელაძის სტამბაში, იყიდებოდა ორ მანეთად და ოთხ აბაზად. შემოკლებული ლოცვანი მოსკოვის სტამბაში დაბეჭდილი იყიდებოდა ათ შაურად და თფილისში გამოცემული—მანეთად. მოსკოვში დაბეჭდილი კონდაკი იყიდება მანეთ ნახევრად თფილისში გამოცემული გაიყიდა ორ მანეთად და თოთხმეტ შაურად. და ასე სხვა. სინოდის კანტორის წევრები თვითონ კისრულობდნენ კორრექტურის გასწორებას და ამ შრომისთვის კარგა დიდ ასყიდელს იღებდენ, ამით ფასი ემატებოდა წიგნებს, მაგრამ რა ენაღვლებოდა მესტამბეს, ის აძლევდა გასასწორებელს და ამით ფასი დასაბეჭდი არ აკლდებოდა.

უკანასკნელ დროს როცა ექსარხოსად იყო პალლადი ხელახლა აღიძრა კითხვა საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის მოსკოვში გადატანის შესახებ. ექსარხოსი უმტკიცებდა ობერ პროკურორს, რომ მოსკოვის სინოდის სტამბა კარელისა ეკკლ. წიგნების ბეჭდვით მოიგებდა 40,000 მანეთს. პალლადი ფიქრობდა, რომ ყველა წიგნები უნდა დაბეჭდილიყო 1400 ეკკლესიისათვის. თვითეულ ეკკლესიას უნდა წაეღო სამოცი მანეთის წიგნი და ყველას 84,000 მანეთის. აქედამ თუ ორმოცს არა 30,000 მანეთ მაინც მოიგებს სტამბა! ერთ დროს ჩვენ გვკითხა ობერ პროკურორმა ამის შესახებ და ჩვენ დაუმტკიცეთ, რომ ეს შეუძლებელი საქმე იყო. წიგნების ბეჭდვის საქმეს ჩვენში აბრკოლებს საქმის უვიცობა და ის, რომ ვაჭრობით არ გაიცემა ხოლმე წიგნის დაბეჭდვა; ამოიჩემებენ ერთს კაცს და როგორც სურსთ ისე მოურიგდებიან მეფეს. მე გამოტეხილად გამოუცხადე მას ყველა ის მიზეზები, რომელნიც აბრკოლებენ ჩვენში წიგნების ბეჭდვის

*) ერთ დროს საპარაკლისო წიგნი უნდა დაბეჭდილიყო. ამ წიგნის დასაბეჭდავად კანტორა იძლეოდა მანეთს. დეკანოზმა დ. გურგენიძემ შეიტანა განცხადება პროკურორთან, რომ იგი უფრო იაფად დაბეჭდავს ამ წიგნს და სთხოვდა პროკურორს ანდრეევსკის მისთვის მიეცათ დასაბეჭდად. პროკურორმა ანდრეევსკემ მთხოვნელის თხოვნაზე დაწერა: „მთხოვნელს თავთუხის პურის გამოცხობა შეუძლია და წიგრების ბეჭდვა კი მისი საქე არ სრის“..

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეს და მასთან წიგნებსაც აძვირებენ. ყველა ის, რაც უთხარი ობერ პროკურორს აცნობა სინოდალნი კანტორის პროკურორს და წინადადება მისცა, რომ არასოდეს წიგნის დაბეჭდვა არ გაიცეს უვაჭროთო. ამის შემდეგ სინოდალნი კანტორამ წინადადება მომცა თუ რა პირობებში ავიღებდი საეკკლესიო წიგნების ბეჭდვას. მე კანტორას ოფიციალურადვე განუცხადე, რომ წიგნების ბეჭდვა კი არა მსურს, არამედ მსურს, რომ წიგნების ბეჭდვის საქმე გაუმჯობესდეს მეთქი. წიგნების ბეჭდვა ვაჭრობით უნდა გაიცემოდეს მეთქი. მე განუცხადე კანტორას, რომ თუ ჟამნს არავინ აიღებს დასაბეჭდავად შვიდ აბაზ ნაკლებ მაშინ მე დავბეჭდავ მეთქი. როცა ვაჭრობა გამოაცხადეს ევთიმე ივანეს ძემ ხელაძემ, წინეთ რომ ჟამნი და კონდაკი დაბეჭდა ორ ორ მანეთად და სამ აბაზ უზანთულად უკანასკნელი გამოცემა აიღო შვიდ შვიდ აბაზად. მარხვანი, რომელიც წინეთ იბეჭდებოდა ექვს მანეთად უკანასკნელი გამოცემა ოთხ მანეთად დაბეჭდა და ისიც ყდით.

მიუცილებლად საჭიროა ყოველი წიგნის დაბეჭდვა ვაჭრობით იქმნეს გაცემული, თუ არ გვინდა, რომ საეკკლესიო წიგნები ერთი ორ ფასად გაძვირდეს. ამაზედ უადვილესი არა არის რა. სინოდის კანტორის პროკურორმა საეკკლესიო წიგნების დაბეჭდვა იაფად მოახერხა მხოლოდ მით, რომ წიგნების დაბეჭდვაზე ვაჭრობა გამოაცხადა და მართლაც იაფად მოხდა მათი დაბეჭდვაც. ეს დაბრკოლება, მადლობა ღმერთს, აშორდა ჩვენ საეკკლესიო წიგნების ბეჭდვას.

არის მეორე დაბრკოლება, რომელიც საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმეს აფერხებს. ეს მიზეზი გახლავსთ, როგორც ამბობენ, წიგნების საბეჭდავის თანხის უქონლობა.

სინოდალნი კანტორის პროკურორად ნამყოფი, ბ. რუშჩინსკი, ყოველთვის იმას ჩივოდა, რომ ჩვენი საეკკლესიო ხაზინას არ აქვს შეძლება ყველა საეკკლესიო წიგნები ბეჭდოსო. ამისათვის მან აღძრა შუამდგომლობა სინოდის წინაშე, რომ ტფილისის სემინარია შეენახათ სახელმწიფო ხაზინის ფულით. როგორც ეს ხდება მრავალგან რუსეთის იმპერიაში, ხოლო საეკკლესიო ხაზინის ფული 30,000 მან. წიგნების გამოცემისთვის იყოს გადადებულიო. მაგრამ მისი მაცადინობა და კანტორის შუამდგომლობა არ გავიდა. ამ საქმის შესახებ დაწვრილებით გვაქვს შეტყობილი თუ როგორ დაიწყო კანტორამ შუამდგომლობა და როგორ გათავდა ბოლოს საქმე.

აქ ბოდიშს ვიხდით მკითხველთან და ვსთხოვთ მას მოთმინება იქონიოს და მოგვისმინოს ცოტა მოკლე ისტორია, რომელსაც კავშირი აქვს ჩვენი საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმესთან. უწმიდესმა სინოდმა არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა კანტორისა სახელმწიფო ხაზინის ფულით სემინარიის შენახვის შესახებ. ამის ნაცვლად ურჩია კანტორას რომ მოეთხოვა სინოდიდან სესხად ათასი თუმანი, ან მეტი, თუ საჭირო იყო, საეკკლესიო წიგნების საბეჭდავად მცირე სარგებლით. თუ ამას არ ისურვებდა კანტორა, მაშინ ურჩევდა, მოეთხოვა კათედრის საკრებულო ეკკლესიის შტატის და ექსარხოსის კანცელარიის შენახვა სახელმწიფო ხაზინიდან, რადგან ამისთანა დაწესებულებანი ყოველგან სახელმწიფო ხაზინის ფულით ინახებიან და ამ სახით გადარჩენილი ფულები საეკკლესიო ხაზინისა წიგნების საბეჭდავად მოეხმარათ. ამ საქმის მოხსენებას თავში უდგა ექსარხოსი და კანტორა და იმათ არ ინებეს ესეთი შუამდგომლობა. ბოლოს აღიძრა შუამდგომლობა დამატებითი ფულის მიცემაზე სახაზინო უწყებაში გადასულ მამულების ფასად, რადგან ნეტარ ხსენებულს მიტროპოლიტს ისიდორეს, რომლის დროსაც მოხდა საეკკლესიო მამულების გარდაცემა ხაზინის უწყებაში, სხვათა შორის დაეწერა: „რიგი დამართებულია, ბოლოს თუ გადაცემულ მამულებს ფასი მოემატოს მართებლობა ვალდებულია 72 ათას მანეთს, რომელიც ყოველ წლობით გარდაეცემა სასულიერო უწყებას, შეფასებისამებრ მოემატოს კიდევ ხაზინიდან საეკკლესიო ხაზინას". ძლიერ გაჭირდა იმის შეტყობა თუ რამდენს იღებს სახაზინო უწყება საეკკლესიო მამულებიდან, მარამ ბევრი მიწერ-მოწერის შემდეგ შუამდგომლობა აღსრულდა და დამატებითი ფული მიიღო საეკკლესიო უწყებამ 25 ათას მანეთამდე ყოველ წლობით. ყველას ეგონა, რომ ეს ფულები წიგნების ბეჭდვის სიქმეს მოხმარდებოდა, რადგან ამ შუამდგომლობის აღძვრის მიზეზი იყო ფულების უქონლობა წიგნების საბეჭდავათ. გაიხსნა თუ არა კრედიტი დამატებითი ფულების მიღებაზე ზოგიერთ კანტორის და საექსარხოსო კანცელარის მოსამსახურეთა სიხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულს დასასრული არ ჰქონდა, რადგან ისინი დიდი ხნიდან ჯამაგირის მომატებას ითხოვდენ. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გამოსული ფულებით თავის გაჭირვებულ ცხოვრებას გაიუმჯობესებდენ. მაგრამ საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. ექსარხოსმა მოინება, რომ მისი სადგომისთვის რემონტი გაეკეთებინათ. ამასთან მაღალი ქვიტკირის შემოვლებული ეზოს ზღუდე დაემგვრიათ და ძვირფასი რკინის ზღუდე შემოეკლოთ, ეზოში ბაღჩა გაეკეთებიათ და სხვა-და-სხვა მშვენიერი ყვავილებით გაემშვენიერებიათ. ექსარხოსის ბრძანებას ვინ წაუვიდოდა წინ და რაც ითქვა ყველაფერი აღსრულდა. ექსარხოსის სახლს რემონტი უყვეს. ერთმა ექსარხოსმა მოინება რომ სახლის სახურავზე ასასვლელი კიბე გაეკეთებინათ და შუაგულ ადგილას თათრის ეკლესიის მსგავსად მინარეტი დაედგათ, რომ კაცს შეძლებოდა ასვლა და ქალაქის დათვალიერება. მაგრამ მეორე ექსარხოსმა ინება ამ მინარეტის მოშლა და მოშალეს კიდეც. დიდის ჰაპან-წყვეტით და ფულის ხარჯით გაკეთებული ციხის კედლის მსგავსად ზღუდე შემოვლებული მოედნიდან ექსარხოსის სასახლეზე დაამგვრიეს და იმის ნაცვლად ძვირფასი მაღალი რკინის რეშოტკა შემოავლეს. ეზოში ბაღჩა გააშენეს.

ასე მშვიერად მორთეს მათი მაღალ ყოვლად სამღვდელოების სასახლე. წინეთ ექსარხოსებს არც სასახლე ჰქონდათ კარგათ მოწყობილი და არც ბაღჩა ყვავილებით მორთული. ეხლა კი სულ სხვა ნაირად, მშვენიერად მოწყობილია ყველაფერი. სამწუხაროდ წიგნების ბეჭდვის საქმე-კი მირჩა. როგორც იქმნა დაბეჭდეს „ყანი", „კონდაკი" და „მარხვანი". მაგრამ საჭირო წიგნები „დავითნი" და „კურთხევანი" არსად არ იშოვება. ეხლა როგორც ამბობენ, კანტორამ უნდა აღძრას კითხვა სინოდის წინაშე წიგნების საბეჭდავი თანხის შესახებ. ჩვენ ეშვი გვაქვს, რომ სინოდმა რაიმე თანხა აღმოუჩინოს კანტორას. ორას ორმოცდა ათი ათასი მანეთი სადაც გაიფლანგა და სადაც ამდენს ფულს ვერ მოუარეს რაღას ენდობიან დღეს!..

დიაღ, ასე უბედურად მიდის ჩვენი საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმე. იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრებამ ორ-სამ გზით მოითხოვა კანტორიდან, რომ თუ მას უძნელდება საქმე წიგნების ბეჭდვისა ნება მიეცეს სამღვდელოებამ თვითონ მოაგვაროს წიგნების ბეჭდვის საქმე. მაგრამ ასეთ გზით კანტორამ არ ინება ხელიდან გაშვება საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმისა და ვერც ახერხებს საქმის რიგიანად მოწყობას.

საკვირველია ღმერთმანი, რის ეშინია სინოდალნი კანტორას, რომ ხელიდან არ ელევა საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმეს? ეს ხომ ისეთი საპოლიტიკო თხზულებები არ არის, რომ ვინმემ ბოროტად მოიხმაროს? ნუთუ ქართველი სამღვდელოება დღეს კიდევ კანტორის საჰპეკუნო არის და იმდენად არ გაგება თავის საქმე, რომ ვერ მოახერხებს საეკლესიო წიგნების ბეჭდვას კანტორის დაუხმარებლად?..

განა შეიძლება ყოველ საეკლესიო წიგნების დაბეჭდვაზე აღიძრას შუამდგომლობა დასაბეჭდ თანხის შესახებ? სად მიდის ზედ მეტი აღებული ფულები წიგნების გასყიდვისგან შემოსული? ყანნი და კონდაკი მანეთ ნახევრად დაბეჭდეს. ყანნი იყიდება ორ მანეთად და სამ შაურად, აგრეთვე სხვა წიგნებს ემატება სამი აბაზი, ოთხი აბაზი და მანეთზე მეტიც. ნუ თუ ეს ზედმეტი აღებული ფასები ამდენი ხნის განმავლობაში საეკლესიო წიგნების საბეჭდავ თანხას ვერ შეადგენენ? სად არის წიგნების გასყიდვისგან შემოსული ფულები?

სინოდის კანტორას რომ კარგად მიყავდეს თავისი საქმე და არაფერში ნაკლი არ ემნეოდეს, მაშინ არაფერს არ ვიტყვით. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ყველაფერში დიდი ნაკლი ემჩნევა. რაც ფულები ებადა მთლად გაფლანგულია. მეტრიკის მოწმობათა მიღების საქმე ძლიერ გაძნელებულია. აიღეთ თუ-გინდ საეკლესიო საბუთების ქაღალდი. თითო ფურცელს ყიდიან თითო შაურად. კანტორა ხარჯავს დასაბეჭდად თითო ფურცელში კაპეიკს და იგებს ოთხ კაპეიკს. წელიწადში წმიდა მოგება დარჩება კანტორას არა ნაკლებ 2000 მანეთისა. რა ეძლევა ამ ფულიდან სამღვდელოებას? სრულებით არაფერი. კანტორის მოსამსახურეებზე იხარჯება ეს ფულებიო. მეტრიკის მოწმობიდან ხაზინა იღებს თითქმის ორ მანეთს მარკებით და სამღვდელოებამ კი ჯამაგირების ფული უნდა იხადოს! კანტორა მარტო სამღვდელოების დაწესებულება არ არის, მაგრამ სამღვდელოებას კი ავალებენ მის ხარჯს. სამწუხარო ის არის, რომ კანტორამ ვერ აასრულა თავისი დანიშნულება და კონსისტორიათ უნდა გადააკეთონ! მაშინ რაღას აასრულებს?

დ. დ. ღ—ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ენა სამეგრელოს სკოლებში

განსვენებულ იანოვსკისა და ზავადსკის წყალობით და აშორდიების დახმარებით სამეგრელოს პირველ დაწყებით სასწავლებლიდან ქართული ენა განდევნილ იყო. პოლიტიკოს-პედაგოგების ზრუნვა მხოლოდ იმაზე იყო მიმართული, რომ მასწავლებლებიც ქართული ენის უცოდინარნი ყოფილიყვნენ. სამოსწ. სემინარიებში კურს დამთავრებულ ახალგაზდობაში ქართული ენის უცოდინარს იშვიათად ნახავს კაცი, თუ, რასაკვირველია, იგი ქართველ ია; ამიტომ კავკასიის ოლქის მზრუნველებმა ზუგდიდის ექვს კლასიან სამოქალაქო სასწავლებელს არა ჩვეულებრივი უფლება მიანიჭეს —იქ კურს დამთავრებულს იგივე უფლება ეძლეოდა, რაც სამოსწ. სემინარიაში კურს დამთავრებულს აქვს. მათ მასწავლებლად და სასწავლებლის გამგედაც-კი ნიშნავდნენ. ზუგდიდის სასწავლებლის გაფართოებას, როგორც მკითხველიც მიჰხვდებოდა, ის აზრი ჰქონდა, რომ ქართული ენის ჭაჭანებაც აღარ ყოფილიყო ზუგდიდის სახალხო სკოლებში. სურვილიც რომ ჰქონოდა მასწავლებელს ქართულის სწავლებისა, ვერ მოახერებდა ამას, ენის უცოდინარობისა გამო. ამ ხერხის მეოხებით სამეგრელოს სახალხო სასწავლებლები მართლა გაივსო ზუგდიდის საქალაქო სასწავლებლის მოწაფეებით და, რამდენადაც ჩვენ ვიცით, უმრავლესობამ აშორდიას რეჟიმის ზედ-გავლენით ქართული არ იცოდა და თუ იცოდა, მალავდა.

ასე მიმდინარეობდა საქმე, ვიდრე განმათავისუფლებელმა მოძრაობამ არ შეარყია რუსიფიკაციის პოლიტიკა სწავლის საქმეში. პირველი უფლება, რომელიც საქართველოს სახალხო სასწავლებლებს მიენიჭა, ის იყო, რომ სამშობლო ენას მეტი ადგილი დაეთმო, ვიდრე წინად ჰქონდა დათმობილი, ამ რეფორმას არც სამეგრელოს სახალხო სკოლა ასცდა და შარშანდელს აქეთ ქართულ ენას იმ ნაირივე ადგილი უჭირავს, რანაირიც სხვა სასწავლებლებში.

რეფორმამ ვალდებული გაჰხადა მეგრელი-მასწავლებლები, რომ ქართული შეესწავლათ. რადგან ეს მეგრელისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, მოკლე ხანში ქართული ენის სწავლება სამეგრელოს სახალხო სკოლებში გაჩაღდა. თქვენი თვალით უნდა ნახოთ, რა ინტერესით ეკიდება მეგრელი მოწაფე ქართული ენის შესწავლას და მაშინ მიხვდებით, რომ ვერავითარი პოლიტიკა ვერ აღმოფხვრის მეგრელის გულში ქართული ენის სიყვარულსა და შესწავლის სურვილს.

ჩვენ შემთხვევა გვქონდა უკანასკნელ ორის თვის განმავლობაში დავსწრებოდი სამეგრელოს რამდენსამე სასწავლებელში ქართული ენის გაკვეთილს და გულ-ახდილათ უნდა ვთქვათ, რომ მეგრელი ბავშვები დიდის ინტერესით ეკიდებიან ქართულ ენას და დიდი წარმატებაც დატყობიათ, თუმცა ზოგიერთი მასწავლებელი, ზემოდ დასახელებულ მიზესებისა გამო, არც ისე გაწაფულია ქართულ ენაში.

სახალხო სკოლის სიღარიბე ღარავისთვისაა საიდუმლო და ამ სენს ვერც სამეგრელო ასცდენია. გარდა სახელმძღვანელო წიგნებისა, იშვიათად ნახავს კაცი აქ სხვა წიგნებს ქართულ ენაზე, თუმცა საჭიროება, როგორც მასწავლებლებმა ამიხსნეს, დიდია. ამიტომ, ჩვენის აზრით, ყოველი შეგნებული ქართველი ვალდებულია, ამ მხრით დახმარება გაუწიოს საქმეს და სამშობლო ენის სიყვარულის განმტკიცებისათვის საყმაწვილო წიგნები მიაწოდოს სამეგრელოს სახალხო სკოლებს. საყმაწვილო ჟურნალების „ნაკადულისა“ და „ჯეჯილი“-ს რედაქციებს, თუ არა ვცდებით, მატერიალურ დახმარებას უწევენ ქველ-მოქმედნი და კარგს ინებებენ, თუ თითო ნომერს თავთავიანთ ჟურნალისას უფასოდ მიაწვდიან სამეგრელოს სახალხო სკოლებს. „წერა-კითხვის საზოგადოებას“, ჩვენის ფიქრით, შეუძლიან მოაწყოს ეს საქმე და დახმარება გაუწიოს სამეგრელოს სკოლებს.

აქვე მოგვყავს სია ზუგდიდის მაზრის სახალხო სკოლებისა-

ფოსტის ადრესი.

წელენჯიხის ორ კლასიანი სასწავლებ. ზუგდიდი
ჯღალის „ „ „ ‚ „
მუხურის „ „ „ „ „
ჩოდის „ „ „ „ „
ახუთის „ „ „ „ „
კისურის „ „ „ „ „
წელენჯიხის „ სამრ. საქალ. სასწავლებელი „
რედუტ კალეს „ სასწავლებელი—რედუტ კალე
ხეთის ორ კლასიანი სასწავლებელი—ხობი
ცაიშის „ „ „ „ „

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხობის „ „ „ „ „
ხორჩის „ „ „ „ „
ქალაქის „ „ „ „ „
ზანის „ „ „ „ „
დარჩელის „ „ „ „ „
კოკის „ „ „ „ „
ნარაზენის „ „ „ „ „

(„მეგობარი“)

ე. ზუბალაშვილის სახელოვნის თავშესაფარი

როგორც მკითხველებს ეხსომებათ, განსვენებულმა ნ. ე. ზუბალაშვილმა 400,000 მანეთზე მეტი დაუტოვა ტფილისს ღარიბთა თავშესაფარის გასამართავად. ქალაქის თვითმმართველობა ანდერძის განხორციელებას სამი-ოთხი წლის წინად შეუდგა. შენობა დასრულდა წელს. სახლის აგებაზე დაიხარჯა სულ 104,000 მან., მოწყობაზე 22,000 მან. თავშესაფარი განზრახულია 60 შეუძლო და დაუძლურებულ კაცისათვის. დანარჩენი ყოველწლობით იძლევა 13,500 მან. სარგებელს, რადგან 60 კაცის შესანახად და სხვა ხარჯებზე ეს ფული საკმაო არ არის, ქალაქის გამგეობას იმედი აქვს სხვა წყაროს აღმოაჩენს. ამჟამად შემოსავლიდან გადადებულია ათი ათასი მანეთი თავშესაფარში მიღებულ 30 შეუძლოს შესანახად.

ახლად აგებული შენობა, როგორც გარეგნობით, ისე მოწყობილობით, კარგს შთაბეჭდილებას ახდენს. პატარა სასამართლოს ქუჩაზე სდგას კოხტა სამ სართულიანი სახლი. ქვედა სართულში მოთავსებულია კანცელარია. აგრეთვე მსახურთათვის სადგომები. ხოლო მეორე და მესამე სართულში საცხოვრებელი თავშეფარებულთათვის. ოთახები არის ხუთა, ნათელი და თბილი. თვითო პალატა განზრახულია 3 კაცისათვის. ძირის სართულის ბოლოში, მარჯვნივ, რამდენიმე ოთახი სამკურნალოსთვის არის. ეზოში მშვენიერი ბაღჩა, ხოლო ეზოს პირად ზემოდ, ელექტრონის სადგური.

როგორც ვწერდით, ამ თავშესაფრის კურთხევა მოხდა კვირას. ქვედა სართულის ფოიეში, სადაც განსვენებულის ძეგლი სდგას, თავი მოუყარეს დამსწრეთ. პარაკლისის შემდეგ ბ-ნმა პეტრე მეფისაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა. ქალაქის თავმა თავ. ჩერქეზიშვილმა ბ-ნ მეფისაშვილის სიტყვა რუსულად გადასთარგმნა და თავისი მხრითაც მოკლე სიტყვა წარმოსთქვა. გამგეობის წევრმა თავ. ნ. გ. არღუთინსკიმ წაიკითხა მოკლე მოხსენება და აღნიშნა რამდენი უძლური იქნება მიღებული, რა დასჭირდება ხარჯი და სხვა. სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელმა ს. არღუთინოვმაც წარმოსთქვა სიტყვა. („მეგობ.“)

მეცნიერ კაცთა გონების სალარეზედან.

იმას უცხოვრია საკმაოდ, ვისაც კეთილად უცხოვია.

—

დიდსა თუ პატარაში ამპარტავნება სულმდაბლობის ნიშანია.

—

გამოცდილება პირველი და უკეთესი ოსტატია ადამიანის გონებისა.

—

ცუდად მოხმარებული დღე დაკარგული დღეა.

—

გამოუსადეგრად ყოფნა არ ყოფნაა.

—

ვისაც თავისი საკუთარი აზრი არა აქვს, ის ყოველთვის სხვის აზრს ეურჩება და ეკამათება.

—

მეუფება სიტურფისა მშვენიერებისა წარმავალია, ხოლო სათნოებისა კი თავის დღეში არ გადავა.

—

დიდნი უბედურებანი დიდ ხანს არ გასტანენ, წვრილნი ხომ ყურადღების ღირსნიც არ არიან.

—

მხიარულება ყვავილია, ამოსული კეთილმოქმედების შტოზე.

—

ნამდვილი ღარიბი იგია, ვისაც წადილი მეტი აქვს ქონებაზედ.

—

თუ შენ ღმერთი გიყვარს, თუ შენ ლოცვილობ, თუ შენ იტანჯები—მაშ კაციც შენ ყოფილხარ.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაწია ყრმავ, როცა პირველად გამოცხადდები ქვეყანაზე, შენ სტირი და შენს გარშემო კი ყველას სიხარულის ღიმილი მოსდის. იცხოვრე და იმოქმედე ისე, რომ როცა ქვეყანას ეთხოვებოდე და თავს ანებებდე ყველანი სტიროდნენ და მარტო შენ კი ღიმილი მოგდიოდეს.

—

ვინც თავის საიდუმლოს სხვას გაუზიარებს, იგი მისი ტყვე გახდება.

—

თავის დღეში სხვას ნუ სთხოვ იმას, რის შოვნაც თვითონ შეგიძლიან.

—

თუ გინდა მრუდედ დაჯექ, ოღონდ სწორედ კი ილაპარაკე.

—

თუ კეთილ-გონიერებას გამბედაობა არა აქვს უქმია, და თუ გამბედაობას კეთილ-გონიერება არ პატრონობს, სიგიჟეა.

—

თუ მადლის ქმნა გინდა, ნუ აცდევინებ: ვინც მალე ჰშველის, ერთი ორადა ჰშველის.

—

ნეტარ ყოფა ხორცისა ჯან-მრთელობაა, ნეტარ ყოფა სულისა—ცოდნაა.

—

ჭეშმარიტი სახელი და დიდება იგია, რომ ისა ჰქნა, რაც ღირსია აღიწერისა და აღწეროს ის, რაც ღირსია წაკითხვისა.

—

სირცხვილია კაცმა სიღარიბე რომ ვერ აიტანოს. უფრო მეტად სირცხვილია არ განდევნოს იგი შრომითა და გამრჯელობით.

—

რაც ადვილია, ის იშვიათად ყოფილა კარგი.

—

ფლიდი და უწმაწური გული თვით უპატიოსნეს საქციელსაც უწმიდურებას შესწამებს.

—

თვითონ კაცს უნდა ჰქონდეს საკუთარი ღირსება, რომ სხვის ღირსება აღიაროს.

—

ყველაზე დიდი მკურნალი ადამიანისა მარხულობაა.

—

ვისაც ბევრი ბიწიერება აქვს, იმას ბევრი მბრძანებელიცა ჰყავს.

—

დიდი სიკეთის გასამარჯვებლადაც კი კაცმა მცირეოდენის ბოროტის ქმნაც არ უნა იკადროს.

—

კეთილ-გონიერება თვალია ყოვლისა სათნოებისა

—

ვისაც გამარჯვება მოუწადინები, იგი წინადვე ნახევრად გამარჯვებულია.

—

თუ სიღარიბე კაცს აკვნესებს, ნამეტანობა იმთქნარებინებს ხოლმე.

—

ცოტა ცოდნა გზაა ცდომილების, დიდი ცოდნა კი—ჭეშმარიტებისა.

—

სიმართლე სიცოცხლეა, მოყვასის სიყვარულიც სიცოცხლეა, მხოლოდ უფრო ტკბილი, უფრო სასიამოვნო და ნაყოფიერი.

—

სვინდისი სამსჯავროა, რომლის წინაშე ადამიანი ერთსა და იმავე დროს თავის-თავის ბრალმდებელიც არის, მოწამეც, მსაჯულიც და ჯალათიც.

—

ნახევრად სწავლულნი უფრო ბევრსა გვავნებენ, ვიდრე მთელი მილიონი ერთად.

შენიშვნა.

ერთ-გვარ სიხარბეზე.

გაჭირდა ცხოვრება და გახშირდა ექსპლოატაციაც. ამ ექსპლოატაციის საგანი, სხვათა შორის, გახდა თურმე პირველი ნაწილი ჩვენის „დვდა ენისა“. როგორც მოგეხსენებათ, ეს წიგნაკი ღირს ორშაურად. მაგრამ ზოგი წიგნის მაღაზია აკეთებინებს თურმე ყდაში და ჰყიდის აბაზად და ხუთ-შაურად. ყველასათვის კი წინ გაუსწვრიათ ამ სიხარბეში თელავის წიგნის მაღაზიებს. ესენი თურმე წიგნაკს სრულიად არა ჰყიდიან უყთოთ და მყიდველებს თითო წიგნაკში ახდევინებენ ხუთს შაურს. ჩვენ ანბანი გამოვაცალკევეთ და ფასად ორი შაური დავნიშნეთ იმ განზრახვით, რომ თვით ულარიბეს ქართველისათვის გაგვეადვილებინა დაწყება და შეთვისებაა ქართული წერა-კითხვისა. ზოგიერთ მაღაზიების სიხარბე წინ ეღობება ამ განზრახვას.

ეს სიხარბე უძნელებს წიგნაკის შეძენას სახლობას და სკოლასაც-კი. თელავიდან ჩამოსულმა კაცმა წერა-კითხვის საზოგადოებაში განაცხადა: ამას წინად სოფლებიდან ჩამოვიდნენ მასწავლებელნი, რომელთათვის მშობლებს გამოეტანებინათ ორ-ორი შაური, „დედა ენას“ სასყიდლად; მაგრამ უკან უწიგნო დაბრუნდნენ, რადგან ხუთ შაურზე ნაკლებ არც ერთმა მაღაზიამ წიგნაკი არ დაუთმო.

წერა კითხვის საზოგადოება წიგნაკზე უთმობს 20 პროცენტს. ყოველი მაღაზია წელიწადში გაჰყიდის ხუთ ექვს პარტიას. მაშასადამე, მანეთზე მანეთს მოიგებს. ეს მოგება-კი აღებ-მიცემობაში მაქსიმუმად ირიცხება. ზოგს ჩვენებურ წიგნაკის გამყიდველს კი სურს ეგ მაქსიმუმი ხუთჯერ გაადიდოს მართალია, სხვა წიგნებში ცოტას იგებენ, მაგრამ „დედა ენისა“ რა ბრალია!..

აღნიშნული საქციელი მით უფრო გასაკიცხია, რომ პირველს ნაწილს „დედა-ენისას“ სრულიადაც არ ესაჭიროება ყდა. იგი დაბეჭდილია საკმაოდ სქელსა და მაგარს ქაღალდზედ, ფერადი კანიც სქელია და თვით ფურცლებიც მიწებებული კი არ არის, შეკერილია მაგრად მავთულებით. ამის გამო ეს წიგნაკი ბავშვის ხელში ადვილად გასძლებს ორს-სამს თვეს, და ამ ხნის განმავლობაში იგი კიდეც გაათავებს მას.

თუ პირველს ნაწილს „დედა-ენისას“ ყდა ეჭირვებოდა, „წერა კითხვის“ გამგეობა თვითონ დააკაზმავდა; მაგრამ არ დაკაზმა, რადგან ეს მეტ ხარჯს მოახვევდა მკითხველებსა...

რათა ეს ექსპლოატაცია თავიდან აიშორონ სკოლებმა და მშობლებმა, უნდა მაღაზიას მოსთხოვონ ხოლმე უყდო წიგნაკი და ყდიანი კი არ იყიდონ. ვინიცობაა სადმე თელაველმა ტაქტიკამ იჩინოს თავი, სკოლებმა და მშობლებმა პირდაპირ წერა-კითხვის მაღაზიიდან დაიბარონ წიგნი საერთოდ. სრულიად სხვა უნდა ითქვას დაკაზმის შესახებ „დედა-ენის“ მეორე ნაწილზე. მოზრდილი წიგნია, ორის წლის კურსს იპყრობს და მისი უყდოდ ხმარება საზარალოა. ამიტომ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა მთელს გამოცემას ჰკაზმავს და უყდოდ არა ჰყიდის, და არც არავინ ითხოვს.

კარგი იქნებოდა, რასაკვირველია, რომ „დედა-ენის“ განახლების და ორ წიგნად გაყოფის შემდეგ წინანდელი ფასი დარჩენილიყო მოუმატებლად, მაგრამ ეს შეუძლებლად გახადა ორმა გარემოებამ პირველად, „დედა-ენა“ გადიდდა; წინად იპყრობდა 240 გვერდს, ახლა უჭირავს 296 გვერდი, მეორედ, წიგნის ბეჭვა ამ წლის განმავლობაში სწორედ ერთი ორად გაძვირდა.

განახლებული გამოცემა „დედა-ენისა“ თუმცა ორი შაურით ძვირია წინანდელზე, მაგრამ ეს ფასი მაინც მინიმუმად უნდა ჩაითვალოს აწინდელს პირობებში. შედარება ამას ყველასათვის ცხადს ჰყოფს. უშინსკის „родное слово“ პირველი ნაწილი იპყრობს 110 გვერდს, უფრო მომცროსია, ვიდრე «დედა-ენისა» ფორმატია, და ყდიანად ღირს ორ-აბაზად. მეორე ნაწილს „родное слово“ სას უჭირავს 192 გვერდი და ყდიანად ღირს ათ-შაურად.

ერთი პატარა შენიშვნაც: მოგეხსენებათ, რომ უმადო ადამიანს მადაზე მოიყვანენ ხოლმე პატარა გემრიელი საუზმით, რომლის შემდეგ ეს ადამიანი სადილს შეუდგება ხოლმე ხალისიანად. ზღვაშიაც დიდ ხომალდებს წინ გაუძღოლებენ ხოლმე პატარა ნაღმიან ნავსა „მინონოსკასა“ აი ამ საუზმისა და პატარა მოწინავე ნავის სამსახური უნდა გაუწიოს ჩვენს ხალხს „დედა-ენის“ პირველმა ნაწილმა. და გაუწიოს პატარას და დიდსა, ქალსა და კაცსა, სახლობასა და სკოლაში. მაგრამ გაუწევს კი? რა მოგახსენოთ. ფაქტი-კი გვაუწყებს. ხსენებული წიგნი გამოვიდა სამის თვის წინ, წარსულს აგვისტოს, რიცხვით თხუთმეტი ათასი ცალი, დღეს მის გამომცემელს, წერა-კითხვის საზოგადოებას, გასასყიდი აღარ მოეპოვება აღარც ერთი ცალი, თუმცა ერთი სამად გაძვირება მისი ზოგიერთ წიგნის მაღაზიებისაგან მის გავრცელებას მეტნაკლებობით აბრკოლებდა.*)

იაკობ გოგებაშვილი.

---

*) ეს განცხადება სწორეთ საჭირო იყო დღეს დედა-ენის მეიდველებისათვის და ამიტომ ჩვენც გადმოვბეჭდეთ. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისელი კავკასიაზე

სწორედ გაგვიჭირვეს საქმე „განათლებულმა“ ტურისტებმა! ელვის სისწრაფით გაივლ-გამოივლიან, ვაგონებიდან დაათვალიერებენ ჩვენს ქვეყანას და შემდეგ თავის „გამოკვლევა-დაკვირვებას“ დიდის ამბით მიაწოდებენ მთელს ევროპას. ნახეთ რა ველური ქვეყანა მოვიარეო... ყოველთვის ისე ხდება ხოლმე, რომ ეს ტურისტები ჩვენ, ქართველებს, მოგვდგებიან ხოლმე და გვამკობენ ნაირნაირ კომპლიმენტებით. აი, ახლაც, წაიკითხეთ ინგლისელ ტურისტის აზრები კავკასიის მკვიდრებზე. ქართველების შესახებ იმაზედ მეტი ვერაფერი უთქვამს — ლოთი და ზარმაცი ხალხიაო. ერთი სიტყვაც არაა ამის მეტი... სამაგიეროდ, ჩვენ მეზობელ სომხებზე ტურისტი უფრო მეტსაც სწერს და უფრო კარგის აზრისაც არის მათზე.

ჩვენის მკითხველებისათვის საინტერესოა გაიგოს, რომ ამ ტურისტის წერილი „მშაკ“-ს გადაუბეჭდია სავსებით და დალოცვილს ერთი შენიშვნაც კი არ უკადრებია.

ტურისტი გახლავთ ჯონ ფოსტრ-ფრერი, ცნობილ ინგლისურ გაზეთის „სტანდარტ“-ის თანამშრომელი; წერილი მოუთავსებია ამ გაზეთში და „მშაკ“-სკიდევ გადაუთარგმნია. როგორც ხედავთ, ყურადღების ღირსია და ამიტომ მოგვყავს ზოგი ადგილი.

„კავკასიაში ადმინისტრაციამ მოახერხა რევოლიუციონურ მოძრაობის ჩაქრობა, მაგრამ საზოგადოებრივი წესიერება დარღვეულია სხვა-და-სხვა ანარქისტებისა და ტერრორისტების წყალობით, რომელნიც განმათავისუფლებელ მოძრაობის სახელით წარა-მარა სძარცვავენ და ჰკლავენ ხალხს. ტფილისში ქალაქის ბაღები ერთ წელიწადზე მეტია რაც დაკეტილია“.

შემდეგ წერილის ავტორი ეხება ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა ტომს და ყველაზე დიდ-ხანს სომხებზე ლაპარაკობს.

დაახლოვებით 10 მილიონამდე მცხოვრებთაგან, რომელნიც მკვიდრობენ კავკასიაში, განაგრძობს ინგლისელი, — მხოლოდ ნახევარი მილიონია რუსი; თითქმის 4 მილიონამდე მაჰმადიანობაა, რომლის დიდი უმეტესობა გლეხობაა, — ფანატიკოსი და უვიცი ბნელი მასსაა. სომხობა, რომელიც კავკასიის ერთა შორის გონებრივად ყველაზედ დაწინაურებულია, თითქმის ორი მილიონი იქნება. ზარმაცი და ქელეხის მოყვარული, მუდამ მოქეიფე ქართველობაც ორ მილიონამდე იქნება, დანარჩენნი კი შეადგენენ მცირედ ტომთა ეთნოგრაფიულ მუზეუმს. კავკასიაში მრავალი პარტია არსებობს. ქართველებს თვითმმართველობა (ავტონომია) სურთ. სომხებს უნდათ დარჩნენ რუსთა ბატონობაში, ხოლო ჰსურთ, რომ მმართველობა კონსტიტუციონური იყოს და რომ მათ სხვა ქვეშევრდომებთან ერთად თანასწორი უფლებები ჰქონდეთ. არიან თათრები, რომელნიც ცდილობენ ამიერ-კავკასია ჩამოაცალონ რუსეთს და შეუერთონ ოსმალეთის სულთნის სახალიფოსო.

შემდეგ ავტორი სწერს კავკასიის შავრაზმელებზე, აგრეთვე სოციალისტებისა და ტერრორისტების შესახებ.

კერძოდ სომხის ხალხის შესახებ ავტორი სწერს შემდეგს:

სომხებს მთავრობა ეჭვის თვალით უცქეროდა. თავად გოლიცინის მთავარმმართველობის დროს დიდი განსაცდელი მოევლინა სომხის ერს. რომელსაც ქონება ჩამოართვეს და სასწავლებლები დაუკეტეს. სომხებმა, რომელნიც იქამდე სათათრეთის წინააღმდეგ მოქმედებდნენ, მთელი თავიანთი ძალღონე მიმართეს რუსეთის წინააღმდეგ. მათ ხელი მიჰყვეს ტერორისტულ მოქმედებას დიდ და პატარა რუს მოხელეთა წინააღმდეგ, თავად გოლიცინს მიაწერენ აგრეთვე სომეხ-თათართა ჟლეტის შემზადებასა ყველა თითქმის ამ აზრისაა კავკასიაშიო.

სომეხი ყველა მეზობელ ერებს ძლიერ ეჯავრებათ, რადგან მათ ებრაელის თვისებები აქვთ. აღებ-მიცემობაში სომეხს ქართველი ფეხ-ქვეშ ჰყავს გაგდებული. სომეხთა ფინანსიური ძალა საკვირველად მატულობს. ათი წლის წინად, ჩემს თფილისში ყოფნის დროს, სომხებმა ხელახლად იწყეს თფილისის თავიანთ ხელში ჩაგდება, დღეს თფილისი ნამდვილად მათია. ქართველი ზარმაცია, უდარდელი და ქელეხის მოყვარული. მისთვის ფულის მოსაპოებლად ყველაზე უფრო ადვილი გზაა მამულის დაგირავება.

დღეს ქართველი სრულიად გამოტეხით ამბობს, რომ მისი მეზობელი სომეხი მოხერხებულია. თათარი ქართველივით ბრმად მორჩილი როდია, ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედავს, რომ სომხისთვის შრომობს: მისი ქონება სომხის ხელში გადადის. მას ეჯავრება ყველა ურწმუნოები. თათრობა სოფლებში ღარიბია, ხოლო ქალაქებში ნამდვილი ჩინელი მუშაა. ის იმავე დროს მეტის მეტად უვიცია, ბნელია, რის გამო სრულიად ადვილი საქმეა მის გულში შურის ჩათესვა მძარცველ სომხის წინააღმდეგ.

სომეხ-თათართა ხოცვა-ყლეტის დროს სომხებმა დაამტკიცეს, რომ ისინი, როდესაც მოვალეობა მოითხოვს, მხნენი და გულადნი არიან. ვერ ნახავ ისეთს სომეხს, რომელსაც არა ჰქონდეს თოფი, დამბაჩა და საომარი მასალა. სომეხ-თათართა ყლეტის დროს შეიარაღდა სომეხთა რევოლიუციონური „დაშნაკცუთიუნი“ და მთელმა სომხეთმა ნაციონალური ორგანიზაცია შეჰქმნა.

უნდა ვსთქვათ, განაგრძობს ავტორი, რომ დღევანდელ გაცხარებულ შინაგან ომში სომეხთა მდგომარეობა ყველაზე კარგია. ისინი ნამდვილი რევოლიუციონერები არიან, რევოლიუციონერები საქმით და არა სიტყვით. სომხები კაპიტალისტები, ვაჭრები და მემამულეები, ავტორის აზრით, რეაქციონერები არიან. ისინი გრძნობენ, რომ ტეროორისტები მათ სძარცვავენ; ამიტომ არ თანაუგრძნობენ სოციალისტებს, რომელთა იდეები შფოთს ჰბადებენ და რომელნიც დიდ ქონების პატრონს ქურდად სთვლიან. ამიტომ სომეხთა მეთაურნი როდი არიანო. კავკასიის სხვა და სხვა პარტიებს შორის დიდი განხეთქილებაა ერთად-ერთი მთავრობის წინააღმდეგ აქტიურად მოქმედი პარტია დემოკრატ-ტერორისტების პარტიაა, რომელიც ყველა ერთა უკმაყოფილო პირებისგან შესდგება. *)

*) მაინც და მაინც ბევრს ვერ დავემდურებით ამ ინგლისელ ტურისტს. მართალია ზოგიერთში სტყუის, მაგრამ ბევრში მართალია!..

რედ.

მხილება.

დამურაც ხომ ფრთოსანია
მაგრამ არწიოს ვერ მისწვდება,
მებრეგე ჩვენი მესსიაები
მცხოვრის აზრს ვერ მისწვდება.

—

წლოვანებით ახალ-გაზდა
ჭაუით ბრძენი მოხუცია,
ბენიალ აზრო შექმნის ნიჭი
ზეცის მისთვის მიუცია.

—

მადლია მცხოვრის
აზრი, ჭკუა, ნიჭი-მუზი,
რა ჭკუას შეედარდს
ფუტკარს, ნაკვის შავი ბუზი...

—

აგვირეის მონასტერი
მდვდელს ვედარ სენობს დაკვნები,
რაც რომ ერის სიმბოლოა
ამას სპობენ უმეცრება.

თაეგანს სტეფენ უგნურებას
სურსთ ჯვარს-ცვენ გონიერი,
ვინც თავდო მაქცოფს, ფარისეველობს
მას მომხრეობის ყრმა და ბერი.

ქაიხოსრო გელოვანი.

ეურნალ. გაზეთებიდან

ავსტრიის საარჩევნო კანონ-პროექტი. დიდი, ხანგრძლივი და მომქანცველი შრომა შეიქმნა საჭირო, რომ მთავრობის მიერ შემუშავებული საარჩევნო კანონპროექტი მიელო საგანგებო კომისიას და რეფერატამდე მისულიყო. მოკლე ხანში ეს კანონ-პროექტი კანონი უნდა გახდეს, რადგან ამას მოწადინებულია ხალხი და დემოკრატიული პარტია, ამასვე სცდილობს თვით იმპერატორი ფრანც-იოსები, რომელიც ბოლოს დარწმუნდა, რომ ავსტრიის პარლამენტი, თუ საყოველთაო საარჩევნო უფლება არ იქნა შემოღებული, უნაყოფო და უგავლენო დაწესებულება იქნება, როგორც აქამდე იყო.

ახალის კანონ-პროექტით, საარჩევნო უფლება ენიჭება ავსტრიის ყოველ ქვეშევრდომს, რომელიც კი 25 წელზე ნაკლები და უფლება ახდილი არ არის. მთელი ავსტრია გაყოფილია 516 საარჩევნო ოლქად, ამასთან ეს ოლქები განაწილებულია ავსტრიის ერთა შორის: ყოველ ერს ეყოლება განსაზღვრული რაოდენობა დეპუტატებისა და ყოველი წევრი ერისა ხმას აძლევს ამ ერის კანდიდატებს. სადაც სხვა და სხვა ერია ერთმანეთში არეული, იქაც განსაზღვრულია რაოდენობა დეპუტატებისა თითეულის ერისათვის. მაგალითად, ბოჰემიაში უნდა იქნეს 75 დეპუტატი ჩეხებისათვის და 55 გერმანელებისათვის. იქ, სადაც მარტო ერთი ცხოვრობს, მანდატებიც მხოლოდ ამ ერისაა.

არც ერთ საარჩევნო კანონებში არ არის შეტანილი ასეთი მუხლი, იგი სრულიად ახალია. და ავსტრიაში დარწმუნებულნი არიან, რომ მანდატების ასეთი დანაწილება ერთა შორის ბოლოს ნაციონალისტურ ხასიათის ბრძოლას გამოიწვევს სარჩევნებში: ეხლა საარჩევნო ბრძოლა გაიმართება არა სხვა და სხვა ერის წარმომადგენელთა შორის, არამედ ერთის ერის წარმომადგენლებ შორის და ნიადაგი ბრძოლისა ეროვნული კი არ იქნება, არამედ სოციალ-ეკონომიური, საერთო ავსტრიის ყველა მცხოვრებლებისთვის. ამიტომ პარლამენტში ჯგუფებად დაყოფა დეპუტატებისა მოხდება არა მხოლოდ ეროვნების მიხედვით, არამედ სოციალ-ეკონომიურ პრინციპების მიხედვითაც.

ერთის თქმა კი თამამად შეიძლება: ახალ საარჩევნო კანონ-პროექტის დაკანონების შემდეგ მოისპობა მეფობა ფეოდალურ თავადაზნაურობისა, ბიუროკრატიულ სამინისტროებისა და ავსტრიის აბსოლიუტიზმის სხვა ნაშთებისა. ავსტრია პარლამენტარული სახელმწიფო გახდება.

* * *

გაზეთ „რუსსკოე სლოვოს“ პარიზელი კორესპონდენტი სწერს რედაქციას: „ყოვლად სარწმუნო წყაროდან შევიტყე შემდეგი: ბევრი პროექტი და კომბინაცია იყო ახალ სესხის შოვნისათვის, მაგრამ საქმე მაინც ვერ მოგვარდა. ბანკების პროვინციალურ განყოფილების გამგეთაგან სანუგეშო ცნობები ვერ მოდიოდა—ფულის პატრონები უნდო თვალით უცქერიან ახალ სესხსო. სესხის მოგვარების საქმე მინდობილი ჰქონდა ბელგიელ ბარონ ლიუმბერს, რომელიც დაახლოვებულია დიდ ბანკირებთან. გრაფმა ვიტტემ და ლიუმბერმა გადასწყვიტეს რამე ფერად პარიზელი როტშილდი დაეინტერესებინათ საქმეში. ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ როტშილდმა გამოაცხადა, რომ სესხი მოსახერხებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი რითიმე უზრუნველ-ყოფილი იქნებაო, რუსეთის მთავრობის წარმომადგენელნი დასთანხმდნენ ამ წინადადებას და სესხის უზრუნველ-საყოფელად დაასახელეს თამბაქოს და არყის აქციზი; თუ საჭირო იქნება, მზათ არიან თამბაქოსა და არყის ვაჭრობის მონოპოლია გადასცენ ფულის პატრონებს. სავსებით არ გამორკვეულა პირობები სესხის უზრუნველყოფისა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ყველაფრისათვის მზად არიან, ოღონდ კი სესხი იშოვნონ სათათბიროს მოწვევის წინ, რადგან სათათბირო თუ ოპოზიციონური იქნა, შეიძლება სესხი ველარ მოხერხდეს.“

* * *

საკვირველი თანხმობა. რას იტყვის სოფელი, აი საკითხი, რომელიც მეტად აინტერესებს მთავრობასაც და მთავრობის მტრებსაც. ამიტომაც ორივე მხარე სცდილობს, შეჰკრიბოს რაც შეიძლება ნამდვილი ცნობები შესახებ სოფლის სულიერ განწყობილებისა.

ორი სულ სხვა-და-სხვა წყარო ერთგვარ ცნობებს იძლევა ამ საგნის შესახებ. ეს ორი წყაროა—პოლიციის დეპარტამენტი და სოციალისტ-რევოლიუციონერების კონგრესი ფინლიანდიაში. აქაც და იქაც ცნობები, შეკრებილია ადგილობრივ აგენტებისაგან—გუბერნატორებისიგან და ადგილობრივ სარევოლიუციო ორგანიზაციებისაგან. პოლიციის დეპარტამენტიცა და სოციალისტ-რევოლიუციონერებიც ერთხმად ამტკიცებენ, რომ გლეხობა არამც და არამც არ მისცემს მხარს მთავრობასაო.

პოლიციის დეპარტამენტი ამბობს, რომ უზარმაზარი რაიონი ოლგის მხრისა და სამხრეთ გუბერნიები სრულიად არ არიან საიმედონი: პროპაგანდა სოფლებში არა თუ არ შემცირებულა, ისე ჩაქსოვილია სოფლის ცხოვრებაში, რომ გლეხის აჯაყებში გაჩენილა აგენტები და ამიტომ „პოლიციისათვის სრულიად ხელმიუწვდომელი გამხდარა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალ.-რევოლიუციონერების კრებაზედაც რუსეთის ამავე ნაწილზე ყოფილა უმთავრესად ლაპარაკი: ყაზანის გუბერნიაში ნახევარი გლეხობა შეგნებულად უცქერის თანამედროვე მდგომარეობას, მესამედი ორგანიზაციის წევრებია და ყოველ წუთს მზათ არიან პარტიას მხარი დაუჭირონო. ასეთივე საქმის მდგომარეობა სამარის, სარატოვის, ვლადიმირის, მოსკოვის, ორლოვის, პენზის, ტამბოვის, კურსკის, ტავრიდის, ოლონეცკის, ყუბანის და ეკატერინოსლავის გუბერნიებში. ეკატერინოსლავის გუბერნიაში სათათბიროს დათხოვნის შემდეგ ქალებიც თურმე დიდ მონაწილეობას იღებენ პოლიტიკურ მოძრაობაში.

სტოლიპინის სამინისტრო ძალიან სცდილობდა გლეხების გულის მოგებას და მთელი „საადგილ-მამულო კანონმდებლობა“ შეჰქმნა, მაგრამ როგორც გუბერნატორები მოწმობენ ერთხმად, ამ კანონმდებლობას“ არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია გლეხობაზე: არც მადლიერი არიან და არც კმაყოფილიო.

მარტო სოციალისტ-რევოლიუციონერებს რომ ეკუთვნოდეს ეს ცნობები, ბევრს გადაჭარბებულად ეჩვენებოდა, მაგრამ როცა ასეთი განსაცვიფრებელი თანხმობაა რევოლიუციონერების და პოლიციის აგენტების ცნობებ-შორის, ურწმუნო თომაც-კი დარწმუნდება.

* * *

შიმშილი. დოქტორი ჟბანკოვი, რომელიც გაგზავნილი იყო სამარასა და ყაზანში, მეტად უნუგეშო ცნობებს იტყობინება დამშეულ ხალხის შესახებ: შიმშილობა საშინელია; მთავრობის დახმარება სულ უმნიშვნელოა და ყოველთვის დაგვიანებული; ამასთან ადმინისტრაცია შეუძლებლად ჰხდის კერძო პირების მოქმედებას დამშეულთა დახმარების საქმეში. გაჭირვება-კი აუწერელია: წელს მოსული პური უკვე გათავებულია; ჰყიდიან ყველაფერს—ტანისამოს'ს, საქონელს; ბევრს სოფებში პურის მაგიერ სჭამენ რაღაც საზარელ სუროტაგს რკოსა და ნაცარქათამასაგან შეზავებულს; ეს „პური“ გაყინულ ტალახიან პატივსა ჰგავს. ასეთ საჭმელისაგან ხალხი სივდება, ღრძილები სტკივათ, სახე უყვითლდებათ—იწყება სურავანდი. (რ. ვ.)

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** იმერეთის ეპარქიის გამგედ დროებით, ლეონიდის ნაცვლად, რომელიც პეტერბურგში გაიწვიეს, დაინიშნა ეპისკოპოსი პეტრე. ქართველ სამღვდელოების დელეგატებს აზრად აქვთ შეიმუშაონ გეგმა, რომლითაც ეპისკოპოსმან ლეონიდმა უნდა იხელმძღვანელოს პეტერბურგში კომისიაში მუშაობის დროს.

*** კვირას 5 ნოემბრისათვის, პატარა სასამართლოს ქუჩაზედ ნ. ე. ზუბალაშვილის სახელობის ახლად აგებულ უძლურთა თავშესაფარის სადგომის კურთხევა მოხდა. მიწვეულნი იყვნენ ქალაქის ხმოსნები, გუბერნატორი და სხვანი,

*** გაზეთის მკითხველებს ეხსომებათ, ბ.ნმა მანთაშევმა 600,000 მან. აღუთქვა თფილისში უმაღლეს სასწავლებელს. ეხლა, როგორც ხმა დადის, მანთაშევს განუცხადებია, ამ ორი წლის კრიზისისა გამო დიდი ზარალი მომივიდა და ამ საქმეს ამდენ ფულს ვერ შევწირავო.

*** როგორც გაუგია „მეგობარს“ მილიონერს ბერძენს კუნდუროვს განზრახვა აქვს ბლომად ფული შესწიროს ბერძენთა საქველმოქმედო საზოგადოებას ბერძნების სოფლებში პირველ დაწყებით სკოლების დასაარსებლად.

*** სტუდენტების ყრილობა გაგრძელდა ღამემდის. დაესწრო 1500 სტუდენტი. გარეშე პირებს არ უშვებდნენ· ყრილობის დასაწყისში მოისმინეს რეკტორის შემონათვალი: გენერალ გუბერნატორის განკარგულებით დაპატიმრებულია ის სტუდენტები, რომელთაც პრ. ალბიცკისათვის ბოიკოტის გამოცხადების დროს ძალმომრეობა ჩაიდინეს; საქმე გადაცემულია სამოქალაქო სამართალში; ამასთან გენერალ-გუბერნატორს გამოუცხადებია—ყოველთვის ნდობით ვეპყრობოდი სტუდენტობასო. ალბიცკის შვილი ამტკიცებდა—მამაჩემი არ არის დანაშაული იმაში, რასაც აბრალებენო. სტუდენტობა დამშვიდებული უსმენდა. შემდეგ პასუხი გასცეს მოწინააღმდეგეებმა. კენჭის ყრის დროს 1000 ხმით წინააღმდეგ 370-ისა დაადგინეს: არ დაიხუროს უნივერსიტეტი არც დროებით, არც სამუდამოთ და სწავლა გაგრძელდეს, რაც არ უნდა მოხდეს. ამ გადაწყვეტილებამ საერთო კმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილებმა გამოიწვია. უნივერსიტეტის შენობასთან პოლიცია არ ყოფილა.

** **ბრაზი.** ბრიანმა განაცხადა პალატაში, რომ, მისი აზრით, პაპმა იმიტომ არ მოიწონა ეკლესიისა და სახელმწიფოს კანონი, რომ იგი ეკლესიის მცნების წინააღმდეგი ჰგონია. ბრიონმა საზიზღარი უწოდა კათოლიკეების იმ სიტყვებს, რომ ეკლესიის ხსნისათვის სისხლი უნდა დაიღვაროსო. მინისტრი მიუბრუნდა მემარჯვენეთ და უთხრა: „ჩვენ არ გვინდა რაიმე დამოკიდებულება ვიქონიოთ პაპთან; თუ თქვენ მშვიდოლიანად იქნებით, როგორც მაპი გირჩევთ, სრული თავისუფლება გექნებათ საჯაროდ შეასრულოთ თქვენი სარწმუნოებრივი წესები. მარგრამ რა დღესაც დაივიწყებთ პაპის სიტყვებს, კანონი ასრულებული იქნება მთელის თავის სისასტიკით“ დიდი და ხანგრძლივი მოწონება.

** „პეტერბურგსკაია გაზეტა“-ს სიტყვით, გენერალი გროდეკოვი, შორეულ-აღმოსავლეთის ჯარების ყოფილი უფროსი, ინიშნება კავკასიის ნამესტნიკად გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის ადგილზე.

** იუსტიციის მინისტრმა მინისტრთა საბჭოში მომავალ სათათბიროსათვის წარსადგენად პროექტი შეიტანა, რომ ბრალდებულს შეეძლოს ვექილის ყოლა წინასწარ გამოძიების დროსაც და გამოცცლილ იქმნას სისხლის სამართლის მუხლი ამის შესახებ.

** „ოქტომბრისტების“ კრებამ ხელმწიფეს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: ყოვ. მოწყალეო ხელმწიფეო! სარატოვის კავშირი 17 „ოქტომბრისტებისა“ შეიკრიბა რა არჩევნის წინ, ლოცვას აღავლენს შენს სადღეგრძელოდ და ძვირფასის სამშობლოს საკეთილ-დღეოდ, გიცხადებს შენ უუქვეშევრდომილეს გრძნობას და აღგითქვამს, რომ ყოველ ღონეს იღონებს აირჩიოს მომავალ სათათბიროში შენის უმაღლეს ნდობის ღირსი პირები, რომელნიც შესძლებენ თავდაცვწყებულად იმუშაონ სამშობლოს სასარგებლოდ და იმ დიდ რეფორმების განსახორციელებლად, რომელნიც უმოწყალესად გვახარეთ 17 ოქტომბრის მანიფესტში“.

** 8 ნოემბერს, საღამოს ასე 5 საათი იქნეტფილისში მძიმედ დასჭრეს განჯის გუბერნიის ხუთის მაზრის გენერალ-გუბერნატორად ნამყოფი გენერალი გოლოშჩაპოვი. გენერალი ამ დროს ეტლით ბრუნდებოდა თურმე აბანოდან. როცა გაუვლია თათრის მოიდანი და ეტლი სირაჩხანის მოსახვევ ქუჩაზე გამოსულა, ვიღაც უცნობი კაცი, მუხრის ქუდსა და მოკლე ტუჟურკაში გამოწყობილი, შევარდნია ეტლში და რევოლვერი დაუხლია. მეორე ტყვიაც უკან მიუყოლებია. მეორედ ნასროლი ტყვია გენერალს ასცდენია. პირველი-კი მოხვედრია ნიკაპს ქვემოდ და კისერში გავარდნილა. მძიმედ დაჭრილ გოლოშჩაპოვს გრძნობა დაჰკარგვია და მთლად სისხლში ამოსვრილი ეტლით მიხეილის საავადმყოფოში წაუყვანიათ. მსროლელს არეულობით უსარგებლნია და მიმალულა. დაჭრილი გენერალი 9 ნოემბერს დღის 10 საათამდე უგრძნობლად იყო, ამ დროს-კი გონს მოვიდა და კიდეც აუწერა გარეგნობა მსროლელისა. ექიმების აზრით, გენერლის ჭრილობა მძიმეა. ეს მეორედ განიზრახეს გენ. გოლოშჩაპოვის მოკვლა. წინეთ შუშაში ესროლეს თურმე. თათრის მოედნის მახლობლად, სადაც გენერალი დასჭრეს, გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, ხუთი დუქანი დაკეტეს.

** 9 ნოემბერს, დილის 10 საათზე სადგურის მახლობლად, ელისაბედის ქუჩაზე, მძიმედ დასჭრეს ამერ-კავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროსი ედუარდ ბერნტი. ბერნტი დილით სამსახურში მიდიოდა თურმე ქვეითად. თან ახლდა მცველი თავლორთქიფანიძე. როცა ბერნტი მიახლოვებია რკინის გზის სამმართველოს, ელისაბედისა და სადგურის ქუჩების შესართავში, უკანიდან დასწვეია რამდენიმე კაცი. როცა ლორთქიფანიძეს მიუხედნია, ერთს რევოლვერი დაუხლია ზურგში ბერნტისათვის. ტყვიას მარცხნივ, გულის სწორა გაუვლია და მუცელში გაჩერებულა. ბერნტსაც გაუსროლია რევოლვერი, მაგრამ ვერავისთვის მოუხვედრებია, მერე წაქცეულა. ამ დროს ლორთქიფანიძეს ერთი თავდამცემი დაუჭერია და ხელიდან აღარ უშვებდა თურმე. დაჭერილს მიშველებია მეორე, ლორთქიფანიძისათვის რევოლვერი უსროლია და ბარძაყში დაუჭრია. ამის შემდეგ ყველანი გაქცეულან. ამ ადგილას პირველი მისულა საკომერციო ბანკის საწყობის დარაჯი ლეკი. მალე ხმაურობაზე გაჩენილა პატრულიც და ატეხილა სროლა. მოკლული აღმოჩნდა ერთი კაცი, ვერ გამოირკვა, ვისკენ არის ეს კაცი მოკლული. დაიჭრა ლეკი, რომელიც საავადმყოფოში მიყვანის დროს მომკვდარა. ქუჩაში დამფრთხალი ხალხი რკინის გზის სამმართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამმართველოს სადგომში შეცვივნულა. აქ პოლიციელებს დაუპატიმრებიათ ერთი კაცი, რომელზედაც ეჭვი მიიტანეს, ვითომ ბერნტისათვის იმას უნდა ესროლოს. („მეგ.“).

*** როგორც ვწერდით, უმაღლესმა მთავრობამ გადასწყვრტა, ბაქოში გრადონაჩალნიკი დანიშნოს. შტატი საგრადონაჩალნიკოსი უკვე შეუდგენიათ. საგრადონაჩალნიკოდ ხარჯად გადადებულია სულ 79,500 მ. თვითონ გრადონაჩალნიკს ექნებ 5,500 მ. ბაქოს პოლიციის ხარჯად გამოანგარიშებულია 448, 860 მან. ხოლო ბალახანა საბუნჩის პოლიციისა—409,180. ასე რომ მთლად ბაქო-ბალახანა-საბუნჩის პოლიციას და საგრადონაჩალნიკოს ხარჯად გადაიდება 863,354 მანეთი.

*** ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ნება დართო სვიმონ ჯორბენაძეს ყოველ კვირეული ჟურნალის გამოცემაზე ქუთაისში ქართულ ენაზე. ჟურნალი გამოვა მომავალ კვირაში.

*** გაზეთი „სეგოდნია“ იტყობინება: „სერიოზულ საბანკო წვეებში დაბეჯითებით ლაპარაკობენ, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მიჰყიდოს უცხოელ კაპიტალისტებს ბაქოს ნავთიანი მიწები, ამ დღეებში ეს გადაწყვეტილება უფრო რეალურ ფორმას მიიღებსო. ამ ოპერაციამ უნდა გასწიოს სესხის მაგიერობა“.

ეხლა რომ ნავთის მიწები გაჰყიდონ, შემდეგ სხვა სიმდიდრის დაგირავება-გაჰყიდვას მიჰყოფენ ხელს: ძველ პოლიტიკას არ ღალატობენ, ამიტომ ხალხს ტყავი გაძვრა, არეულ-დარეულობა უფრო და უფრო ძლიერდება, კრედიტი აღარ არის და ფული საუდგანდა იშოვონ, თუ არ ქონების გაყიდვა დაგირავებით!

*** როგორც შორაპნიდან გვატყობინებენ, 10 ნოემბერს, ჭიათურის შტოზე სადგურ სალიეთის სიახლოვეს ვილაცებს შეუჩერებიათ მატარებელი და ორსავე მხრიდან სროლა დაუწყიათ საფოსტო ვაგონისთვის. შემდეგ შევარდნილან შიგ, გაუტაციათ 21 ათას მანეთზე მეტი და დამალულან. სხვათა შორის, სროლის დროს მძიმედ დაჭრილა ოთხი სალდათი, ორი მეორე კლასის მგზავრი და მემანქანის თანაშემწე.

*** ტფილისში გახშირდა ჩხრეკა და დაპატიმრება. მე-9 ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე, 10 ნოემბრის ღამეს დააპატიმრეს 5 კაცი, რომელთა ვინაობა ვერ გავიგეთ. ამავე ღამეს დააპატიმრეს მეორედ „სიმართლის“ რედაქტორად ნამყოფი ლ. დარჩიაშვილი, კ. თავართქილაძე, რ. გაბაშვილი, გაზეთ „ტალღ“-ის რეპორტიორი მიხეილ კიწურაშვილი და სხვანი. გუშინ კიდევ დილის 7 საათზე პოლიცია მივიდა „ტალღას“ რედაქციაში და დაიწყო ჩხრეკა. ერთი ტომარა ქაღალდი შეაგროვეს, რედაქციის კაცი გელაძე და სახლის პატრონი ნაზარიანი დააპატიმრეს, რედაქცია დაბეჭდეს და წავიდნენ. ამის გამო გაზეთის გამოცემა ჯერ ჯერობით შეჩერდა.

*** განჯაში მხოლოდ ერთად-ერთი სტამბა არსებობს. როგორც გაზ. „ერკირ“-ს სწერენ, ვიღაც უცნობს დაუქირავებია ეს სტამბა იმ პირობით, რომ უნდა დაებეჭდა გაზეთი „განჯა“, დაუყენებია მუშებიც, რომელნიც შესდგომიან საქმეს. მეხუთე დღეს პოლიცია გაჩენილა სტამბაში, გაუჩხრეკია და შეუპყრია 7 ათასამდე „ვსტან სპიაშჩი“-ს ნომერი. სტამბის დამქირავებები იმავე დღეს გაპარულა და, როგორც ამბობენ, 8 ათასამდე ნომერი თანვე წაუღია. ამ ჟამად სტამბის პატრონი საკიანი დაპატიმრებულია, სტამბა-კი დაბეჭდილი.

*** „ნოვოე ვრემია“-ს ატყობინებენ: „ამ ბოლოს ხანებში მოვიდა და კიდევ მოდის ვაგონები და მთელი მატარებლები, საინტენდანტო უწყების საქონლით დატვირთული. მეტ ნაწილად ჯარის კაცების თბილი ტანსაცმელია. ეს საქონელი გამოგზავნილი იყო რუსეთიდან იმ დროს, როცა რუსის ჯარი ჯერ კიდევ შახეზე იდგა, მაგრამ აქამდე სად იყო, კაცმა არ იცის“.

ჯარის-კაცები სიცივისაგან დაავამყოფდნენ და დაიხოცნენ და თბილი ტანისამოსი ეხლა მივიდა ხარბინში. ალბად, ძვლების გათბობა თუ სურთ საფლავებში. (მეგ.)

*** პოლონეთში ერობის შესახებ სჯა-ბაასი გერბელის თავმჯდომარეობით დასრულდა. ოქმებს ხელი მოაწერეს. ორ ხარისხოვან ერობის (გმინა და გუბერნია) შესახებ, მთავრობის პროექტის თანახმად, ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლებმა მიუგეს, რომ მათის ფიქრით, მიუცილებელი საჭირო სამ ხარისხოვან ერობის პროექტიაო. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ სახელმწიფო არყის საყობებს ფაბრიკა-ქარხნის ხასიათი არა აქვს და ამიტომ იქ მშრომელ მუშებს ხმა არბ აქვთ სათათბიროს არჩევნებშიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** ოფიციალურის ცნობებით ვარშავაშიდ მარშალკოვის ქუჩაზე დააპატიმრეს პოლონეთის და ლიტვის სოც.-დემოკრატიულ ცენტრალურ კომიტეტის წევრი. ერთ ალაგზედ 11,900 ფულის საგროვი მარკები და 4,300 ფილის საგროვი ფურცლები იპოვნეს, აგრეთვე ჩეკის წიგნაკები, საკანტორო პრესი, 22 ბეჭედი და მრავალი სარევოლიუციო გამოცემა. პივნოის ქუჩაზე მუშა პენსკის ბინაზე ყუმბარამ იფეთქა. ადამიანის ტანისა და თავის ქალის ნაჭრები იპოვნეს- თანამოზიარეთ დაჭრილთა წაყვანა მოასწრეს.

*** ბაქოში, „გრანდ-ოტელის" სასტუმროში შეიპყრეს რვა კაცი, პოლიციის ცნობებით' ტერორისტულ ჯგუფის „ანარქია"-ს წევრი. ამათ მკვლელობებს აბრალებენ. ამათვე აბრალებენ კანტორების და მაღაზიების ძარცვას, ყველანი შეიარაღებულნი ყოფილან.

*** 12 ნოემბერს ქალაქის თავის თავ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდა ს. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლის კომისიას, რომელმაც დაამტკიცა სახალხო სახლის მართვა-გამგეობის წესდების პროექტი და აგრეთვე სახლის შესანახი ხარჯთ-აღრიცხვა. სახლის შენახვას დასჭირდება 15,000 მან., ხოლო ყოველ წლობით 30,000 მან. შემოსავალი 23,000 მან. კომისიამ დაადგინა, იშუამდგომლოს საბჭოს წინაშე, მიიღოს სახალხო სახლი და ამოირჩიოს სახლის გამგე აღმასრულებელი კომისია.

*** წელს სექტემბრიდან ტფ. სომხეთა ნერსესიან სემინარიის მე-7 კლასში შემოიღეს ქართული ენის სწავლება. კვირაში ქართულ ენას დათმობილი აქვს სამი გაკვეთილი. ქართული ენის მასწავლებლად მიუწვევიათ ფირუმიანი.

*** ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორის პროკურორი ლევ პავლეს-ძე რუშჩინსკი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან. მის მოადგილეთ დაინიშნა ვორონეჟის კონსისტორიის მდივანი პრავდინი. ბ. პრავდინი დიდი დახელოვნებული პირია თურმე კონსისტორიის საქმეებში.

ყოფილი პროკურორი რუშჩინსკი ძლიერ კარგი კაცი იყო იმითი, რომ იგი მოქრთამე კაცი არ იყო და რაც შეეძლო თავს არ იზოგავდა სამსახურში. მაგრამ ზოგიერთი გავლენიანი პირებისაგან ისე იყო შეზღუდული, რომ ვერ სარგებლობდა თავისი უფლებებით.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

შეუხებლობა ადამიანის პიროვნებისა.

ბუნება ადამიანისა, როგორც წარმომადგენელი, სულიერის მხრივ, ღვთის სახისა, არის არსება ფრიად მაღალი ღირსებისა. ამიტომ პიროვნობა ადამიანისა უნდა იყვეს შეუხებელი, პატივდებული: როგორც სულსა, ისე სხეულს ადამიანისას არ უნდა ჰქონდეთ ვნება არა რომელივე მხრივ. ასრე უნდა იყვეს, მაგრამ საქმით ასე არ არის: სამწუხაროდ, ადამიანი როგორც სულიერად, ისე ხორციელად მრავალ ვნებულია. ამის მიზეზი იმყოფება თვით ადამიანის ბუნებაში, როგორც დაცემულში.

დიდად ტანჯულია შინაგანი ბუნება ადამიანისა თვით ცოდვისაგან. აქ გონება ბოროტჰაზრობს, გული ბოროტსურვობს, ნება ბოროტმოქმედებს. სვინიდისს ეს არ მოსწონს, აძაგებს სულის ამგვარ მდგომარეობასა და მრისხანებით უთითებს იმ დასჯაზე, რომელიც მოელის სულსა ბოროტობისთვის. სული გრძნობს ამ მუქარის სიმართლესა, გრძნობს იგი ბრძოლის სიმწარესა, იტანჯება, მაგრამ, როგორც დაცემული და ამასთან სულიერი მტრის მანქანებით მოცული სცოდავს. საბრალო ადამიანი, მეტადრე სვინიდისისგან თავმინებებული, სცოდავს ფრიად მრავალმხრივ...

სცოდავს იქამდინ, რომ აღარ არს მშვიდობა არამთუ მის სულში, ძვალრბილშიაცა...

ნუთუ ესოდენ სულიერად სნეული ადამიანი, ცოდვითი სარეცელზედ მწოლარი, არ საჭიროვებს კურნებას, ქრისტეს მიერ მონიჭებულ მაცხოვარების მადლსა? სად ან რაში ჰპოვებს ესოდენ უბედური არსება საფუძველსა ამ მადლის განდგებისასა? რა ან ვინ მოსცემს მას ნუგეშსა ამ სამწუხარო სულიერ მდგომარეობაში?...

ასე შეხებულია ცოდვისაგან ადამიანი თვის სულიერ ბუნებაში: პიროვნობა მისი პირველად და უმთავრესად აქ იტანჯება!...

ადამიანს ეხება აგრეთვე გარეგანი ბუნებაცა, მთლად სტიქიონი, ეხება არა მხოლოდ მეგობრულად, მტრულადაცა. ერთი და იგივე მიწა ხან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰკვებს, ხან ამშვენებს ადამიანსა, მის სხეულსაც ხრწნის. ერთი და იგივე წყალი, რომელიც უკლავს ადამიანს წყურვილსა: თვის მრისხანე ნაკადითა აზარალებს ადამიანს ნივთიერად, ხან კიდეც ახრჩობს მას. ერთი და იგივე ჰაერი, რომელსაც სუნთქავს ადამიანი, მრისხანედ ეცემა ადამიანსა, მის სადგურსა და აზარალებს მათ. ერთი და იგივე ცეცხლი, რომელიც ათბობს და უნათებ'ა ადამიანსა, შემთხვევით სწვამს იმასაც და მის მონაგარსაცა. ადამიანის ცოდვა გამოიწვევს სტიქიონის ამგვარ მტრულ შეხებასა. რადგანაც ადამიანი სცოდავს და მით ამცირებს თვისვე ღირსებასა, სტიქიონიც აკლებს მას პატივსა. ხოლო ეს ყოველი სწარმოებს იმ შემოქმედის ნებითა, რომელსაც ადამიანი შეუპოვრად განარისხებს თვის ცოდვითა...

სად არის ძალა ადამიანის წინმსვლელობისა, რომ არა გარეწარავლენს ადამიანისგან ამ გვარ უბედურებათა? აი სადა სჩანს უძლურება ადამიანის წინმსვლელობისა, რომლითა იგი იქამდინ ზვაობს, რომ შორდება მაცხოვარების გზასა...

ეხებიან საწყალ ადამიანსა, როგორც ცოდვილსა, და, მეტად ანუ ნაკლებ, აზარალებენ მას: მინდვრის ეკალი, ნარი, გესლიანი ბალახი, მწერი, მძრომი და მხეცი ველური. არა ნაკლებ, თუ არა მეტად, ეხება მტრულად ამავე ადამიანს თვით ადამიანიცა, სვინიდის დახშული. ეხება კაცი კაცის მონაგარსა: სწვამს მას ცეცხლითა, იტაცებს მძლავრობითა, მიაქ იგი მალულად ქურდობითა. ეხება კაცი კაცის სულსაც და მის სხეულსაც: ჰკლავს კაცი კაცსა აკენობითა და მაცთურობითა, უსპობს კაცი კაცსა ხორციელ სიცოცხლესა მრავალგვარ იარაღითა. რა გვარი იარაღი არ არის მოგონილი ამ ბიწიერების აღსასრულებლად ადამიანის ჰაზრობითა?...

ამ გვარ ჰაზრობის წარმატებაშიაც ხედავს ადამიანი თვის წინმსვლელობის ღირსებასა!...

ასრე ღრმად ჩავარდნილია ადამიანის ბუნება ცოდვის სიბნელეში. ამიტომაც იგი გარემოცულია მტერთა სიმრავლითა და ღვთის მრისხანებითა. ასრე დამცრობილი და დაჩაგრულია ცოდვის მორევში პიროვნობა იმ არსებისა, რომელსაც აქვს ბუნებითი უფლება, რომ ისურვოს თვის პიროვნობის შეუხებლობა, ისურვოს მშვიდობიანი ცხოვრება. მეტად მრავალწამებული შეიქმნა ეს პიროვნობა. საზოგადოებრივ ეს შეიგნო ადამიანმა და სამართლიანად სურვობს, როგორც მოქალაქე, წევრი სამშობლოსი, თვის პიროვნობის ხელუხებლობასა. სამშობლოც მოვალეა, რომ დააკმაყოფილოს ჯეროვანი საშუალობითა.

ეს ასეა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ სჯულის-მდებლობა, ქაღალდზე გამოხატული, უძლურია, თუ თვით საზოგადოება არ ჩაუდგავს მას ძალისა და უფლების სულსა. თვით ადამიანის ბუნებაში სუფევს კეთილი სჯულის-მდებელი. ეს არის სვინიდისი. ყოველმა კერძო პირმა მას უნდა მისცეს თვის შინაგან ბუნებაში უფლება, არ უნდა დაახშოს იგი· უნდა ისმენდეს მის ძაგების ხმასა და ემორჩილებოდეს მას. ამ გზით ყოველ კერძო შინაგან ბუნებაში დამტკიცდება ის მშვიდობა, რომელიც აღაშენებს გარეგან მშვიდობასაცა. დიდმაც და პატარამაცა უნდა შეიგნოს, რომ ადამიანის მრავალგვარ უბედურების მიზეზი არის მისვე ცოდვაში. ეს ცოდვა უნდა უეჭველად შემცირდეს ყოველ კერძო პირში სვინიდისის ხელთმძღვანველობითა. მაშინ საზოგადოდ მოიზიდება ღვთისგანაც მოწყალება, კაცისგანაც პატივი და შებრალება, მაშინ პიროვნობაც ადამიანისა შეიქმნება მრავალმხრივ შეუხებელი. ამ ცოდვილ ქვეყანაზე სამოთხის დაარსება შეუძლებელია. მაგრამ აქ შეიძლება ქრისტიანული გონებით-ზნეობითი წინმსვლელობა. მის საშუალობით სიმრავლე ცოდვა-ბოროტებისა იმოდენად შევიწროვდება, რომ ცხოვრება ადამიანთა შეიქმნება გასაძლისი. ამ ქვეყანაზე ქრისტიანენი არიან წარმომადგენელნი ზეციერი მაცხოვარებისა, ამიტომ მათმა კეთილმსახურებამ უნდა დამარილოს, შთაბეროს სული ჭეშმარიტი მეცნიერებისა და კეთილზნეობისა საზოგადოდ კაცობრივობის ცხოვრებასა.

მეტადრე ჩვენ საყვარელ სამშობლოსა, როგორც ღვთის მშობლის ხვედრსა, როგორც ბუნებით მშვენიერსა, შეშვენის, რომ მისნი შვილნი სამაგალითოდ ყვაოდნენ გონების გამჭრიახობითა და ზნეობის მშვენიერებითა. შეშვენით ივერის შვილთა, რომ ქრისტიანულად წინმსვლელობდნენ თვის საკუთარი გონებითა და ზნეობითა და არა ბაძავდნენ, განურჩევლად, თვალ ახვევით, უცხოქვეყნის ერთა, რომელნიც ივიწყებენ ღმერთსა და კეთილმსახურების სიმშვენიერესა. უკეთუ ფუტკარი შეუგნებელი ალღოთი არჩევს ყვავილსა, რომ არ გააფუჭოს სიტკბო თაფლისა, ნუ თუ ადამიანმა შეგნებითი გონებითა არ უნდა გაარჩიოს, რა ატკბობს და რა ამწარებს მის ცხოვრებასა? მოვალეა, გონიერი ადამიანი, რომ მოჰაზრობით და გარჩევით შეეხოს უცხო მეცნიერებას და ზნეობასა, მიიღოს აქ სასარგებლო, ხოლო სავნებელს უარჰყოს...

ი ბალუევი.